განკარგულება:**g-81.81220964**
თარიღი:**06/04/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №20

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების-სოფელ ორბელში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებოს შენობის (ს/კ 89.04.25.084) ნაწილის ფართით - 56 კვ.მ. (მისამართი: ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ორბელი) კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ'' ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის შესაბამისად, შპს ,,აქტივის" 23.03.2022 წლის მდგომარეობით უძრავი ქონების შეფასების შესახებ დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების-სოფელ ორბელში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებოს შენობის (ს/კ 89.04.25.084) ნაწილის ფართით - 56 კვ.მ. კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის თაობაზე.

2. წლიური საიჯარო ქირის საფასური განისაზღვროს: ერთი წლის საიჯარო ქირა-600 (ექვსასი) ლარი, ერთი თვის საიჯარო ქირა-50 ლარის ოდენობით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599560756
ელ. ფოსტა: TSAGERISAKREBULO@GMAIL.COM